გენდერული კიბერძალადობა და შევიწროება

ნინო გერგიძე

რედაქტორი: მანანა ხაჩიძე

აბსტრაქტი

გენდერული კიბერძალადობა და შევიწროება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ინდივიდებს, განსაკუთრებით ქალებს და გენდერულ უმცირესობებს, ონლაინ სივრცეებში. ნაშრომი აღწერს ციფრული ძალადობის გავრცელებას, გამოვლინებებსა და ზემოქმედებას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ფორმებს, როგორიცაა კიბერსტინგი, დოქსინგი, შურისძიების პორნო და ონლაინ სიძულვილის ენა. ის იკვლევს გენდერის ურთიერთგადაკვეთას სხვა იდენტობებთან და ხაზს უსვამს იმას, თუ როგორ აწყდებიან მარგინალიზებული ჯგუფები გაზრდილ რისკებს. გარდა ამისა, განიხილავს გენდერზე დაფუძნებული კიბერძალადობის ფსიქოლოგიურ, ემოციურ და სოციალურ შედეგებს, ხაზს უსვამს ეფექტური პრევენციის, ჩარევისა და მხარდაჭერის მექანიზმების გადაუდებელ აუცილებლობას.

შესავალი

ჩვენ ვცხოვრობთ ციფრული პროგრესის ეპოქაში, სადაც ტექნოლოგია ყველა ადამიანის ცხოვრებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს. სწრაფმა წინსვლამ შეიძლება ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალა, მაგრამ ამ პროგრესს მოჰყვა უარყოფითი მხარეებიც რომლებთანაც გამკლავება არც თუ ისე მარტივია.

საზოგადოება, უმეტეს შემთხვევაში, ადვილად უგულებელყოფს გენდერული ნიშნით ონლაინ ძალადობას. ხშირად იყენებენ ფრაზას რომ ეს „უბრალოდ სიტყვებია ინტერნეტში". მაგრამ ამ საკითხებზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, მითუმეტეს, რომ როგორც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევამ აჩვენა, ყოველი მესამე ქალი განიცდის ძალადობის რაიმე ფორმას სიცოცხლის განმავლობაში და, მიუხედავად ინტერნეტთან კავშირის შედარებით ახალი და მზარდი ფენომენისა, დადგენილია, რომ ყოველი მეათე ქალი 15 წლის ასაკიდან განიცდის ძალადობის კიბერფორმას .

გენდერული ძალადობის ფორმები

ონლაინ შევიწროების სხვადასხვა ფორებს ძირითადად ქალები განიცდიან. ეს ფორმებია:

სიძულვილის ენა (Hate speech) — სიტყვიერი ან წერილობითი თავდასხმა შეურაცხმყოფელი ან დისკრიმინაციული სიტყვებით, რომელიც ეხება პიროვნებას მათი რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნების მიხედვით, რასა, ფერი, წარმომავლობა, სქესი ან სხვა საიდენტიფიკაციო ფაქტორი.

ონლაინ სიძულვილის ენა, რომელიც მიმართულია ქალების მიმართ, ჩვეულებრივ მოიცავს სექსუალიზაციას და სხეულის შემარცხვენელ კომენტარებს, ასევე დამამცირებელი კომენტარები და გაუპატიურების მუქარა.

დოქსინგი (Doxing) — არის ადამიანის პირადი მონაცემების მავნებლური განზრახვით გამოქვეყნება.
კიბერ დადევნება (CyberStalking) — არის თვალთვალის ფორმა, რომელიც ხორციელდება ელექტრონული ან ციფრული საშუალებების გამოყენებით. ის მეთოდური და მდგრადი

ხასიათისაა და მოიცავს განმეორებით ინციდენტებს. მას ერთი და იგივე პირი სჩადის და ძირს უთხრის მსხვერპლის უსაფრთხოების გრძნობას.

კიბერფლეშინგი (Cyberflashing) - არასასურველი სექსუალური სურათების გაგზავნა სოციალური მედიის, შეტყობინებების აპლიკაციებისა და სხვა ელექტრონული ან ციფრული საშუალებებით.

შურისძიების პორნო (Revenge porn) —- ინტიმური ან სექსუალური სურათები ან ვიდეოები, რომლებიც განთავსებულია ინტერნეტში თანხმობის გარეშე, ხშირად პარტნიორთა დაშორების შემდეგ.

ონლაინ ძალადობის სხვადასხვა გამოვლინებით გამოწვეული შედეგები განსაკუთრებით დამაზიანებელია ქალებისა და გოგოებისთვის, მითუმეტეს სტიგმის, სტრუქტურული უთანასწორობის, დისკრიმინაციისა და პატრიარქატის პირობებში, ონლაინ ძალადობის ქვეშ მყოფი ქალები ხშირად ხდებიან მავნე და ნეგატიური გენდერული სტერეოტიპების მსხვერპლნი, რაც აკრძალულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კანონმდებლობით. ინტერნეტი ძალადობის სხვადასხვა ფორმის გამოვლენის ადგილად იქცა, სადაც ქალებისა და გოგოების ჩაგვრა პორნოგრაფიის, სექსისტური თამაშებისა და პირადი ცხოვრების ხელყოფით ხდება. პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში ჩართული ქალები მუდმივად დგანან ინტერნეტის საშუალებით შევიწროების რისკი წინაშე.

მაგალითად, ანონიმურმა ნეგატიურმა კამპანიამ ერთ-ერთი უფლებადამცველი ქალის ვიკიპედიის პროფილში რასისტული და შეურაცხმყოფელი განცხადებები გამოაქვეყნა და თანამოაზრეებს ქალის ჯგუფური გაუპატიურებისკენ მოუწოდა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) მომხმარებელმა ქალებმა საჯაროდ გააპროტესტეს სექსისტური თავდასხმები. კვლევა აჩვენებს, რომ უფლებადამცველი ქალები, რომლებიც პატრიარქალურ ნორმებსა და სტრუქტურებს აპროტესტებენ, განსაკუთრებით დაუცველები არიან ონლაინ ძალადობის მიმართ.

ქალებისა და გოგოების მიმართ გენდერული ძალადობის ონლაინ აქტები მოიცავს მუქარას, რომელიც თავისი მასშტაბურობისა და განმეორებით განხორციელებადი ხასიათის გამო იწვევს ან სავარაუდოდ გამოიწვევს ქალების ფსიქოლოგიურ, ფიზიკურ, სექსუალურ ან ეკონომიკურ დაზიანებას ან ტანჯვას. . მსხვერპლები და გადარჩენილები განიცდიან დეპრესიას, შფოთვას და შიშს, და ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება სუიციდისკენ მიდრეკილებაც განვითარდეს.

კიბერშეტევები და ქალებზე ძალადობა ხშირად სერიოზულად არ აღიქმება. იმისათვის, რომ ეს შეიცვალოს, სახელმწიფოებმა მათ ხელთ არსებული ყველა ინსტრუმენტი უნდა მიმართონ კიბერძალადობის წინააღმდეგ და ისე უნდა იმოქმედონ, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმის გამოვლენისას მოქმედებენ. . წინააღმდეგ შემთხვევაში, ონლაინ გამოხატვის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება.

საერთაშორისო კონვენციები

ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია (ბუდაპეშტის კონვენცია), პირველი საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომელიც ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიას ასახავს - ეროვნული კანონმდებლობების საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, გამოძიების ტექნიკების გაუმჯობესებითა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების გზით.

კონვენცია განიხილავს მათ შორის, საავტორო უფლებების დარღვევის, კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობის, ბავშვთა პორნოგრაფიის, სიძულვილით მოტივირებული

დანაშაულების და ინტერნეტ ქსელის უსაფრთხოების დარღვევის საკითხებს. ის ასევე, შეიცავს უფლებამოსილებებსა და პროცედურებს, როგორიცაა კომპიუტერული ქსელების ძებნა და კანონიერი თვალთვალი.

კონვენციის მთავარი მიზანია საზოგადოების კიბერდანაშაულისგან დაცვა - ერთიანი ევროპული სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარებით.

კონვენცია ძირითადად მიზნად ისახავს კიბერდანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო ნორმების ეროვნულ სისხლის სამართალში ასახვა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის დახვეწას, რაც აუცილებელია კიბერდანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის.

საერთაშორისო თანამშრომლობის სწრაფი და ეფექტური რეჟიმის ჩამოყალიბება

2001 წლის ნოემბერში, ბუდაპეშტში მიღებული ევროპის საბჭოს კიბერდანაშაულის შესახებ კონვენცია, კიბერდანაშაულის რეგულირების სფეროში პირველი მრავალმხრივი და იურიდიულად სავალდებულო ინსტრუმენტია, რომელიც დღემდე ყველაზე აქტუალურ საერთაშორისო შეთანხმებად რჩება.
რუსეთი როგორც წესი, უარს ამბობს კიბერდანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართლებრივ გამოძიებაში თანამშრომლობაზე და აცხადებს, რომ კონვენციის რატიფიცირება დაარღვევს რუსეთის სუვერენიტეტს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. gender-based violence in EU:https://eige.europa.eu/gender-based-violence/cyber-violence-against-women?language_content_entity=en
2. https://eige.europa.eu/publications-resources/publications/combating-cyber-violence-against-women-and-girls?language_content_entity=en
3. un-women:https://www.unwomen.org/en/what-we-do/ending-violence-against-women/faqs/tech-facilitated-gender-based-violence
4. Council of Europe:https://www.coe.int/en/web/cybercrime/the-budapest-convention